

შპს “ სიბ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი”

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძველი.....	10
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	10
5. ამონაგები რეალიზაციიდან.....	11
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	12
7. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი.....	12
8. ფინანსური ხარჯი.....	12
9. გადასახადები.....	12
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	13
11. ფული და ფულის ექვივალენტი.....	13
12. წინასწარ გადახდილი თანხები.....	13
13. გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხი.....	14
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულება.....	14
15. AML.....	14

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მომზადებულია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების “სიზ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი”-ს ხელმძღვანელობისათვის

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “სიზ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი”-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „სიზ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი“-ს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს სიზ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერის ანგარიშგებაში აღრიცხულია დებიტორული დავალიანება ერთ-ერთი დამკვეთის მიმართ, რომლის ნაშთი კომპანიის განცხადებით და დამკვეთის მიერ მოწოდებული დასტურით შეადგენდა 739,356.09 აშშ დოლარს. თუმცა, 2024 წლის 1 მაისს გამოვლინდა, რომ ამ თანხიდან 590,266.12 აშშ დოლარის ანაზღაურებას დამკვეთი არ აპირებს. შესაბამისად, 2024 წლის ბოლოს ამავე დამკვეთთან დებიტორული დავალიანება შეადგენს 223,211.62 აშშ დოლარს. წინა აუდიტორული გამოცდილების საფუძველზე, აღნიშნული დამკვეთის მიერ მოწოდებული ნაშთების დადასტურება არ ითვლება სანდო და საკმარის მტკიცებულებად. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, ალტერნატიული აუდიტორული

პროცედურებითაც ვერ მოხერხდა შესაბამისი მტკიცებულების მოპოვება. ამიტომ, აღნიშნულ ნაწილში ვერ შევძელით საკმარისი და შესაბამისი მტკიცებულების მიღება, რის გამოც ჩვენი მოსაზრება ამ კომპონენტის გათვალისწინებით არის პირობითი.

ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს "სიზ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი"-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას,

ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან ჯვარშიშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი N SARAS-F-632766)

შპს "ლევინგ"

საქართველო, თბილისი, ვ.წითლანაძის 7

2025 წლის 11 აპრილი

აუდიტორი :

ლევან ჯვარშიშვილი

(საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2012 წლის 21 მაისს გაცემული აუდიტორის სერთიფიკატი №N6/184, ზუღალატრული აღრიცხვისა და ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის აუდიტორის სარეგისტრაციო N SARAS-A-328621 აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო N SARAS-F-632766)

შპს "სიბ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი"

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
შემოსავალი	1	404176	2801824
გაწეული მომსახურების თვითღირებულება			
საერთო მოგება		404176	2801824
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	2	-	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		-1954434	-352678
საოპერაციო მოგება		-1550258	2449146
ფინანსური ხარჯი, ნეტო	3		
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო	4	-40448	-43286
სხვა შემოსავალი (ხარჯები), ნეტო		80776	46445
მოგება დაზღვევამდე		-1509930	2452305
მოგების გადასახადის ხარჯი	5	-192000	-205302
წმინდა მოგება		-1701930	2247003
სხვა სრული შემოსავალი			
მთლიანი სრული შემოსავალი		-1701930	2247003

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

2025 წლის 10 აპრილს:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

10-17 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს "სიზ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12. 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები			
არამატერიალური აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	798210	2090920
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	151180	1581904
წინასწარ გადახდილი ავანსი	9	1660	2156
სულ მოკლევადიანი აქტივები		951050	3674980
სულ აქტივები		951050	3674980
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება	10	784389	3574319
სულ კაპიტალი		784589	3574519
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	12		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	166461	100461
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		166461	100461
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		951050	3674980

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

2025 წლის 10 აპრილს:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

10-17 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს "სიბ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი 2023	200	2490693		2490893
გაცემული დივიდენდები		-1163378		-1163378
მთლიანი სრული შემოსავალი		2247004		2247004
წინა პერიოდის ნაშთის კორექტირება				
31 დეკემბერი 2023	200	3574319		3574519
გაცემული დივიდენდები		-1088000		-1088000
მთლიანი სრული შემოსავალი		-1701930		-1701930
წინა პერიოდის ნაშთის კორექტირება		0		0
31 დეკემბერი 2024	200	784389		784589

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

2025 წლის 10 აპრილს :



გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

10-17 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს "სიბ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მთლიანი სრული შემოსავალი	(1,701,930)
კორექტირებები:	-
ცვეთა და ამორტიზაცია	-
წინა პერიოდის ნაშთების კორექტირება	-
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	-
საკუროსო სხვაობის გადაფასების ეფექტი	(40,448)
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	(1,742,378)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,292,710
მარაგები	-
წინაწარ გადახდილი ავანსი	496
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	66,000
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	(383,172)
გადახდილი მოგების გადასახადი	-
	-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	(383,172)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
მოკლევადიანი ინვესტიციები	-
ძირითადი საშუალებები	-
არამატერიალური აქტივები	-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	-
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:	
საწესდებო კაპიტალი	-
სესხების მიღება	-
სესხების გადახდა	-
გაცემული დივიდენდი	(1,088,000)
	-
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან	(1,088,000)
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(1,471,172)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,581,905
საკუროსო სხვაობის გადაფასების ეფექტი	40,448
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	151,181

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

2025 წლის 10 აპრილს:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

11-18 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია



შპს "სიზ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი"-ს ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

სახელმწიფო რეგისტრაცია:

სახელმწიფო რეგისტრაცია

შპს "სიზ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი"-ს სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2015 წლის 17 აპრილს, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 404491901;

საზოგადოების დამფუძნებელია:

მესაკუთრე:

ტეიმურ გულიევ, C00085261 /აზერბაიჯანი/ - 100%

ღურთდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქ., N12ა, ოფისი N4

საზოგადოების დირექტორია:

ტეიმურ გულიევ, C00085261 /აზერბაიჯანი/

ორგანიზაციის საქმიანობის სახე:

საბროკერო მომსახურება სადაზღვევო სფეროში;

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

2.1 ფინანსური ანგარიშგების შედგენის და წარდგენის საფუძვლები

შპს „სიბ ჯორჯია სადაზღვეო ბროკერი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მსს ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის; კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგულია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ორის“.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია საქართველოში.

2.3 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონირებად ვალუტას;

1. შემოსავალი

შემოსავალი წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდას საანგარიშგებო პერიოდში, რაც ხორციელდება აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით და იწვევს საკუთარი კაპიტალის ზრდას, რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეთა მიერ განხორციელებულ დამატებით შენატანებთან. ორგანიზაცია ახორციელებს საშუალო საქმიანობას დაზღვევის სფეროში და შემოსავალს აღიარებს საკომისიონის სახით, იმ ეტაპზე, როდესაც:

1. შესრულებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება, და
2. შესაძლებელია შემოსავლის თანხობრივი ოდენობის საიმედოდ შეფასება.

შემოსავლის აღიარება ხდება ბროკერულ ხელშეკრულებებზე დაყრდნობით, როგორც კი მომსახურება მიიჩნევა გაწეულად და არსებობს საკომისიოზე ორგანიზაციის უფლება. აღრიცხვა ხორციელდება დარიცხვის მეთოდით და შეესაბამება IFRS for SMEs სტანდარტის მოთხოვნებს (სექცია 23 – შემოსავლის აღიარება).

2. ხარჯები

ხარჯი არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან.

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემთხვევაში ხდება მათი დაანგარიშება;

3. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ხარჯი

კურსთაშორის სხვაობა წარმოადგენს იმ ცვლილებებს, რომლებიც წარმოქმნება განცვლითი კურსის ცვალებადობის შედეგად. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

4. ფინანსური ხარჯი

სესხით სარგებლობისას წარმოშობილი დანახარჯები, როგორცაა პროცენტი, საკომისიოები და სესხთან დაკავშირებული სხვა ხარჯები, აღიარებულია როგორც ფინანსური ხარჯი იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ისინი ფაქტობრივად გაწეულია. ორგანიზაცია არ ახორციელებს ისეთ კაპიტალიზებულ პროექტებს, რომლებიც გაამართლებს სესხით სარგებლობის ხარჯის აქტივში ასახვას, შესაბამისად, ყველა მსგავსი ხარჯი პირდაპირ აისახება მოგება-ზარალში, როგორც დარიცხვის პრინციპით აღრიცხული ხარჯი. ხარჯები კლასიფიცირდება შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც „ფინანსური ხარჯები“ და ასახულია იმ პერიოდში, რომელთანაც დაკავშირებულია ვალდებულება და რეალურად გაწეული დანახარჯი

5. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშგების თარიღით მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ საგადასახადო კოდექსში განახორციელა ცვლილებები, რომლის მოხდენითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიებს მათ გამომუშავებულ მოგებაზე (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ ევალებათ გადაიხადონ მოგების გადასახადი, მანამ სანამ არ მოხდება ამ მოგების განაწილება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადი 15% გადასახდელია მთლიან ღირებულებაზე (ე.ი. წმინდა დივიდენდებს ემატება წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის 5%-ი, თუ შესაძლებელია, და იყოფა 0.85-ზე) დივიდენდის გადახდის მომენტისთვის ფიზიკური თუ არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის. 2017 წლის 1 იანვრიდან გადახდილი დივიდენდი რეზიდენტ იურიდიულ პირებზე არ ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

დივიდენდები მოგებაზე რომელიც მიღებული იყო 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც გამოითვლება როგორც დეკლარირებული და გადახდილი გადასახადი დასაბეგრ მოგებაზე vs იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების, რომელიც გამრავლებულია განაწილებულ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება მოგების გადასახადის ხარჯად იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა არის ფაქტობრივი გადახდის თარიღი ან ის პერიოდი, რომელზეც ხდება დივიდენდების გადახდა. შედეგად, კომპანია წყვეტს ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღიარებას 2016 წლის 31 დეკემბრისთვის და შესაბამისი ეფექტი აღრიცხა 2016 წლის მოგება ან ზარალში. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნებოდა დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გარდა დივიდენდების განაწილებაზე, გადასახადი ასევე გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების უფასოდ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. დაუყოვნებლივ იბეგრება სხვა გადასახადები: ორგანიზაცია ბიუჯეტის წინაშე ანგარიშსწორებას ახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულის საღაროში, მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა ან ნაკლებია.

9. წინასწარ გადახდილი თანხები

წინასწარ გადახდილი თანხები არის გადახდილი თანხები, რომელიც განხორციელებულია იმ პერიოდში, როცა იმ მომსახურების ან პროდუქტის მიღება, რომლისთვისაც თანხა გადახდილია, მომავალ პერიოდში მოხდება. ამგვარი გადასახადები აღიარება ხდება როგორც აქტივი იმ პერიოდისთვის, როდესაც გადახდა განხორციელდა.

10. დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა დივიდენდის გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში.

11 გრძელვადიანი სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯით. სესხები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში აღებული სესხები გადაფასდება წლის ბოლოს, სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში.

12. მოკლევადიანი სესხი

გრძელვადიანი სესხიდან ხდება მოკლევადიანი სესხის წილის გამოყოფა, რომლის გადახდის ვადა არის საანგარიშგებო წლის მომდევნო 12 თვე

13. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

14 AML/CFT

ხელმძღვანელობას ევალება 2020 წლის 5 ივნისის N1 ბრძანებით დამტკიცებული “ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესით” და N2 ბრძანებით დამტკიცებული “ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესით” ინსტრუქციების მიხედვით ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით აწარმოოს მისი კლიენტების ბარათი (პასპორტი). ხელმძღვანელობამ წარმოგვიდგინა მათ მიერ განხორციელებული შიდა ინსტრუქციით დამტკიცებული პროცედურები, ჩვენს მხრივ აღნიშნული იქნა ის გარემოება, რომ უფრო მეტად უნდა მოხდეს სისტემატიზაცია და დოკუმენტების აღრიცხვის გაუმჯობესება.

1. ამონაგები

	31.12.2024	31.12.2023
შემოსავალი საბროკერო მომსახურებიდან	404176	2801824
ჯამი	404176	2801824

2. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024
საიჯარო ქირა	24,481
შრომის ანაზღაურება	324,071
საკონსულტაციო ხარჯები	10,620
კომუნიკაციის ხარჯები	874
სხვა საერთო ხარჯები	9,582
უიმედო ხარჯი	1,584,806
	1,954,434

3. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი

	31.12.2024	31.12.2023
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	40,328.00	3,159.00
ჯამი	40,328.00	3,159.00

5. მოგების გადასახადის ხარჯი

	31.12.2024	31.12.2023
მოგების გადასახადი	-192000	-205302
ჯამი	-192000	-205302

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	798,210	2,090,255
მოთხოვნების საწარმოს პერსონალის წინაშე		665
ჯამი	798,210	2,090,920

8. ფული და ფულის ექვივალენტი

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი სახსრები ლარში	70714	298281
ფულადი სახსრების უცხოურ ვალუტაში (ლარში)	79746	1283488
ფული სალაროში	719.34	135
ჯამი	151180	1581904

9. წინასწარ გადახდილი ავანსი

	31.12.2024	31.12.2023
წინასწარ გადახდილი ავანსი	1660	2156
ჯამი	1660	2156

10. დივიდენდი

	31.12.2024	31.12.2023
გაცემული დივიდენდი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით	-1088000	-1163378
ჯამი	-1088000	-1163378

13. სავაჭრო ვალდებულება

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	-165,461	-99461
ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე	-1,000	-1,000
ჯამი	-166,461	-100,461

14. სხვა მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი სხვა მოვლენა 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს გავლენას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

15. საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციაში მომხდარი ცვლილებები:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

16. ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომი თარიღისთვის მომხდარი მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენა 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს გავლენას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2025 წლის 10 აპრილს

